

რა არის მულტიმოდალური სწავლება?

მულტიმოდალური სწავლება გულისხმობს სწავლების პროცესში სხვადასხვა შეგრძნების არხის ჩართვას და შესაბამისად მრავალფეროვანი საშუალებების გამოყენებას. კვლევებით დასტურდება, რომ ასეთი მიდგომის გამოყენება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს დასწავლის პროცესს.

როგორ ჩავრთოთ მხედველობითი არხი სწავლის პროცესში?

- ახალი ინფორმაციის უკეთ უკეთ გაგებისთვის გამოიყენეთ დასურათებული წიგნები, სიუჟეტური სურათები ან/და კომიქსები;
- საშუალება მიეცით ბავშვს, რომ თავად შექმნას მოთხრობის შესაბამისი ნახატი; იდეის ფორმულირებისთვის გამოიყენეთ გრაფიკული ორგანიზერები, მაგალითად, ცხრილები, დიაგრამები, რუკები;
- განსხვავებული ინფორმაციის გარჩევის მიზნით გამოიყენეთ სხვადასხვა ფერებით კოდირების ტექნიკა. მაგალითად, მნიშვნელოვანი ან/და განსხვავებული ინფორმაცია მონიშნეთ სხვადასხვა ფერის ფანქრებით; ასწავლეთ ტექსტის დამუშავება სიმბოლოების გამოყენებით;

როგორ ჩავრთოთ სმენითი არხი სწავლის პროცესში?

- ნაუკითხეთ ტექსტი ხმაოდლა;
- სწავლებისას გამოიყენეთ აუდიო მასალები ან/და ვიდეოები;
- ხშირად გაიმეორეთ ხმაოდლა საკვანძო საკითხები;
- ახალი ინფორმაციის ახსნისას ხმაოდლა იმსჯელეთ. პროცესში ახალი ინფორმაცია დაუკავშირეთ უკვე ნასწავლ მასალას;
- წაახალისეთ თხრობა ან ინფორმაციის სიტყვიერად გადმოცემა – თუ ბავშვს უჭირს თავისუფალი თხრობა, დაუსვით შეკითხვები და სთხოვეთ მათზე პასუხის გაცემა;
- გარითმეთ დასამახსოვრებელი ინფორმაცია ან წარადგინეთ სიმღერის სახით;

როგორ ჩავრთოთ კინესთეტიკური არხი სწავლის პროცესში?

- ახალი ინფორმაციის ახსნისას გამოიყენეთ რეალური ცხოვრებისეული მაგალითები;
- გამოიყენეთ როლური თამაშები და მოდელირების ტექნიკა;
- გამოიყენეთ კეთებით-სწავლების მეთოდი, რაც თეორიულ ინფორმაციასთან ერთად ბავშვთან ერთად აქტივობის უშუალოდ განხორციელებას გულისხმობს. მაგალითად, მცენარის ზრდის პროცესის ახსნისას, ერთად დარგეთ მცენარე და დააკვირდით როგორ იზრდება;
- სწავლის პროცესში დაგეგმეთ სახალისო აქტივობები მოტივაციის გაზრდის მიზნით;



გაითვალისწინეთ!

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის დასწავლას ხელს უწყობს სხვადასხვა არხის ჩართვა, ბავშვი არ უნდა გადაიტვირთოს. თუ ატყობთ, რომ ბავშვს უჭირს მიწოდებული ინფორმაციის ერთდროულად აღქმა და იღლება – შეამცირეთ აქტივობების რაოდენობა, გადაანაწილეთ ისინი სხვადასხვა პერიოდისთვის და გამოიყენეთ შესვენებები.